მატჩი მინსკში

გუშინ, მინსკში თბილისის “დინამომ” ჩაატარა თავისი უკანასკნელი კალენდარული შეხვედრა საკავშირო პირველობაზე ადგილობრივ “ბელარუსთან”. ქართველმა ფეხბურთელებმა _ კვასხაძე, სიჭინავა, თორაძე, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე (კურტანიძე), მესხი _ თამაში დაიწყეს ზერელედ, უხალისოდ.

მე-11 წუთზე მინსკელთა თავდამსხმელმა ხასინმა კარგად გაიყვანა გარღვევაზე ნახევარმცველი ჟუკოვი, რომელმაც ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ ინიციატივას ერთხანს მასპინძლები ინარჩუნებდნენ, შემდეგ კი იგი მთლიანად თბილისელთა მხარეს გადადის, მაგრამ არაზუსტი დარტყმების გამო ისინი ანგარიშის გათანაბრებას ვერ ახერხებენ.

მეორე ნახევარში უპირატესობა ცვალებადი იყო და მხოლოდ თამაშის უკანასკნელ წუთებზე გააქტიურდნენ თბილისელები. მათ შექმნეს მთელი რიგი კრიტიკული მომენტები “ბელარუსის” ნახევარზე, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ გამოიყენეს. ასე მაგალითად, მესხმა ვერ შეძლო ბურთის გატანა ცარიელ კარში სულ ახლო მანძილიდან.

ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა კურტანიძემაც.

შეხვედრა დამთავრდა მინსკის “ბელარუსის” გამარჯვებით _ 1:0.

“ლელო”, 23 ოქტომბერი, 1960 წ.